№ 267 დეკემბრის 12, ოთხშაბათი. 1866—1884 დეკემბრის 12, ოთხშაბათი. № 267.

ტფილის

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и з а границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ"

1885 წლისათვის

თბილისში —„დროების" რედაქციაში; **ქუთაისში** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; **ბათუმში** — მოსე ნათაძესთან; **თელავში** — ვანო როსტომაშვილთან; **გორში** — აღალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

შინაური ქრონიკა

— ფოთიდამ გვწერენ, რომ ფოთელები მუდამ შეწუხებულები ვიყავით უექიმობითაო. თუმცა ექიმები მუდამ გვყვანდა, მაგრამ იმათი ყოფნა—არ ყოფნა იყოო. აქ იგზავნებოდენ ისეთი ექიმები, რომელთაც გული სტკიოდათ და ზღვის ახლო-მდებარე ქალაქის ჰავით უნდოდათ თავიანთი დასუსტებულის ჯანის გასაღება, გულის ავადმყოფობისაგან განთავისუფლება და არა კურნება და სამსახური ფოთელ სნეულთა და შეწუხებულთაო. თვით ავადმყოფნი, ჩვენი ექიმები, თავიანთ თავსაც ვერა შველოდენ და საქალაქო ექიმის მძიმე სამსახურის ასრულება ხომ სრულიად არ შეეძლოთო. ამას წინად კი გვეღირსა კარგი ექიმი, მაგრამ ისიც დიდხანს არ დაგვიყენეს და ახლა, არ ვიცით, ვის გამოგვიგზავნიანო.

— სოფ. ჩეხატაურის სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ა. წითლაძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ნება გვიბოძეთ, — გვწერს მასწავლებელი— თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა ვუძღვნა: მცხოვრებთ ქ. ოზურგეთში: ი. დუღუჩავას და ზ. ქიქოძეს, ქ. ქუთაისში— ს. ფირალოვს და ი. მეფისოვს, სურებში — ო. რამიშვილს და ა. ქალანდაძეს, დ. ჩოხატაურში — ა. სიხარულიძეს, ქ. თბილისში — ე. ხელიძეს და ლანჩხუთში — პ. ვაშალომიძეს იმ ნივთიერის შემწეობისათვის, რომელიც ამათ აღმოუჩინეს დ. ჩოხატაურის სასოფლო სკოლას".

— დღეს, დეკემბრის 12-ს, რუსულის თეატრის არტისტებისაგან მეორე კლასიკური გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება «ბელუგინის ქორწინება", კომ. 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა და „საქალებო ვაგონში" ვოდ. 1 მოქ. ბაიკოვისა.

გამგე კომიტეტი გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის დაარსებულის საზოგადოებისა სთხოვს ყველას, ვინც თანაუგრძნობს ამ საზოგადოების მოქმედებას, დაესწროს ამ წარმოდგენაზე.

— იმ ცნობათა შესავსებლად, რომელნიც ჩვენ გვაქვს კავკასიაში სამხედრო გადასახადის შემოღების შესახებ, ამბობს „რუსკი კურიერი", ჩვენ გვატყობინებენ კიდევ შემდეგს: თბილისის კომისიას, რომელიც ამ საგნის თაობაზე პროექტს განიხილავს, დაუსკვნია, რომ 150 სტ. სამხ. წესდებულებისა შეუძლებელია აქ აღსრულდესო, რადგან კავკასიაში ძრიელ არის გახშირებული ქურდობა და სხვა დანაშაულობანი მუსულმანთა შორისო. ხსენებულის სტატიის ძალით კი ჯარში შესვლა იმ პირთა, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი, ვიდრე არ გათავდება მათზე საჩივარი და გამოძიება, უნდა გადადებულ იქმნას. ამ სახით 150 სტ. რომ დარჩეს ძალაში და ეს წესი რომ აღსრულდებოდეს, კომისიის აზრით, ბევრნი, ოღონდ კი გადარჩნენ მაშინათვე ჯარში შესვლასა და ტყუილ დანაშაულობაში დასდებენ თავს, დაიბრალებენ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედობის ჩადენას და ამით გაამნელებენ შევსებას ახალ-მეომართ საჭირო რიცხვისას. ყველა ამ მოსაზრებათა ძალით და იმ საშუალებათა მოსასპობლად, რომელთაც შეიძლება მიმართონ სამხედრო გადასახადის ასაცილებლად, კომისიას საჭიროდ უცვნია, რომ ვალად დაედვას მომრიგებელ მოსამართლეთა და გამომძიებელთ დაუყოვნებლივ განიხილონ ხოლმე დანაშაულობის საქმე იმ პირთა, რომელნიც მოწოდებულ უნდა იქმნან სამხედრო სამსახურისათვის. ამ შემთხვევაში მათ რიგსაც არ უნდა დაუცადონ და დაასტუსაღონ ხოლმე ისინი, ვინც

«დროების» ფელეტონი, დეკემ. 12-ს

საერო მიწის მფლობელობა ჩვენში

გარე კახეთი

(წერილი მესამე)

მეცნიერნი, მეძიებელნი მიწის მფლობელობის წესებისა, სამგვარ უძველეს (არხაიული) ფორმას ჰპოვებენ სახნავ-სათესის მფლობელობისას. ყველაზედ უძველესი ფორმა, იმათი აზრით, არის ის საერთო მფლობელობა, როცა თემს—სოფელს საზოგადო საკუთრებად მიაჩნია სახნავ-სათესი; მაშინ თემი საყოველთაოდაც ჰხნავს და სთესს, მოსავალსაც ჰყოფს მონაწილეთა შორის, თუ მოხმარებაც საზოგადოდ არ აქვთ დაწესებული; შრომას, ამ ფორმის სუფევის ჟამს, ჰკისრულობენ უფრო დედა-კაცნი, მამა-კაცთ კი დავალებული აქვთ თემის დაცვა და ომი. ეს ფორმა მიწის მფლობელობისა, ცოტა რამე შერევით, ბევრ თემთ, რომელნიც კავკასიონის მთებში სცხოვრობენ, დაუცავთ დღევანდლამდის. ამ გვარი თემები იპოვება სვანთა შორის ჩერქეზებში და სხვ.*)

მეორე და უფრო გავრცელებული ფორმა ის არის, როცა ყველა მონაწილენი (ოჯახი, გვარი, მოდგმა) დაჩემებით ჰხნამენ რომელსამე ალაგს მოსავლის მოჭმამდის—ან თავდანებებამდის; ხოლო როცა მონაწილე მოსავალს მოსჭამს—ან თავს ანებებს სახნავს, მაშინ იგი სათემოა, ანუ თავისუფალი და ხელ-მოსაკიდი რომელისამე მონაწილის მიერ. აქ ცხადად გამოსჭვივის ის პრინციპი, რომ თითონ მიწა კერძო საკუთრებას არ შეადგენს და არის საკუთრება თემისა*). თითონ მიწის დასაკუთრება ამ გვარი ფორმის მიმდევარ ხალხს გონებაში არ მოსდის. საკუთრებას, მისი აზრით, შეადგენს მხოლოდ ის, რაც მიწას მოჰყავს ადამიანისვე შრომით. სჩეხავენ ვსთქვათ, ამ გვარ საზოგადოების ახლო რამდენიმე მონაწილენი ტყეს ახოდ (სახნავი მიწაა), ამ საზოგადოებიდან ეკითხები ვისმე: ვისია ეს ახოებიო? ის თამამად გეუბნება—სათემოაო, თუმცა ხვნის ნება იმ ჟამად თემს-კი არა, გამჩეხთა აქვთ. მაგრამ გამჩეხნი მოსაკუთრეებად კი არა, დროებით მფლობელებად ითვლებიან; როცა შრომის ფასს გამოარჩებიან, ან ისე თავს გაანებებენ, მაშინვე სათემოდ რჩებიან ის გაჩეხილი ახოები.

მესამე და უფრო გავრცელებული ფორმა არის ის, როცა დაჩემების წესით მფლობელობს მამულს ერთი მონათესავე, ანუ გვარი; ჰხნავს და სთესავს იმ მამულში და სხვა მოცილე არავინ არის. გვარს შეუძლიან ამ მამულის გაყოფა, დაგირავება და ჩუქებაც კი. თუმცა აქაც მფლობელობაა მამულის და არა დასაკუთრება, რადგან მამული მაინც თემს ეკუთვნის და სათემო კანონებს ემორჩილება. ისე რომ, ვსთქვათ, როცა გვარი ამოსწყდება ან გადაშენდება, მამული თემსვე უბრუნდება და სხვ...

ჩემ მიერ ქიზიყის და უკანამხრის სათემო მფლობელობის წესების განხილვაში ცხადად დაინახავდით, რომ ეს ორივე მხარენი თავიანთი წესებით არც ერთ ზემოდ ნაჩვენებ ტიპს საერო მიწის მფლობელობისას არ უდგებიან მტკიცედ. პირველის უძველესის ტიპის ფორმა, შეიძლება უწინ იყო და დღეს კი საქართველოში არსად გამოიძებნება, ხოლო ორი უკანასკნელნი კი, როგორც ქვემოდ დაინახავთ, საკმაოდ არიან გავრცელებულნი ჩვენში. ქიზიყის, უკანამხრის და საინგილოს*) საზოგადოებათ კი, მეტად შეუმუშავებიათ მიწის კანონები და შეუკავშირებიათ ეს უკანასკნელნი სოფლობასთან—ყრილობასთან, რისგამო საერთო გონების ძალა ზედ ატყვიათ ეხლაც და ზემოდ ნაჩვენებ ორ ტიპზედ უფრო შემუშავებულად მოჩანან.

მართლა და, საინგილოში, ყოველ წელს ჯამაათი (ყრილობა) სწყვეტს: სად უნდა დაითესოს ჩალთუკი, პური და სად გაკეთდეს ბაღჩები; ამ დროსვე იგი ჯამაათი მონაწილეთ აძლევს ამდენ და ამდენ ბაკნის (საწყაოა) სათეს ადგილს და სხვ. დაჩემებული აქ არა არის-რა: ეზოები საფურცლე და ვენახებიც კი ტოლ-ტოლად აქვთ მიზომილი კომლობრივ. იქ, როცა ერთი კომლი ორად იყრება, სოფლის თავში ან ბოლოში აძლევს ჯამაათი მეორე საკომლო ეზოს, საფურცლეს და სხვას, რადგან სოფელი მწკრივზეა. (სოფ. ყორღანი, ალიბეგლო და სხვ.) ტყესაც იგივე ჯამაათი ნახევარს სახმარად აწესებს, ნახევარს იცავს ჯერჯერობით. ქიზიყის და უკანა-მხრის ყრილობანიც ეგრევე შერებიან, ესე იგი, ძალიან ექვემდებარებიან სათემო მფლობელობის კანონებს: სოფლის გარშემო ჰსაბლავენ მიწებს და დასაბლულ მამულებს ქვევით ორ კატეგორიის სათემო მამულებს აწესებენ. უკანამხარეში შერეულია ეს წესები, რადგან კერძო პირებს ეს ორი კატეგორიის მიწები ზოგის სოფლისთვის სულ ჩამოურთმევიათ, თუმცა საბლის მიწების სახელი კი ისევ შეჰრჩენიათ და ზოგ სოფელს რაღაც ნაჭრები-ღა დარჩენია საბლის მიწის გარეშე იმ ორ კატეგორიის მამულებისა (ს. ჯიმითი). ამ ორივე მხარეს (უფრო თარეშების შემდეგ დასახლებულ სოფლებში) არიან ისეთი სოფლებიც, სადაც სოფლის გარშემო გვარებს დაჩემებულივით აქვთ მიწები, მაგრამ ესენი საბლის მიწობას თამაშობენ და სხვას არაფერს; ისე რომ, როდესაც ამ ორ უკანასკნელ მხარეში დასდიხართ, ხშირად შეჰხვდებით ქექა-ქუჩილიან ყრილობას, სადაც უმეტესობა თხოულობს ამ სოფლის ახლო-მახლო საბლის მიწების და დაჩემებულებისასაც კი ხელ-მეორედ გასაზვლას—გაჩარექებას. გარე-კახეთში ამას ვერსად გაიგონებთ, თუმცა აქაც სათემო მფლობელობა გაჩაღებულია. ჰხდება ეს იმიტომ, რომ აქაური სა-

---

*) Леонтовичъ: Адаты кавказскихъ горцевъ.

*) ვისია ეს სახნავ-სათესებიო? რომ ჰკითხო გლეხს, არა თუ ქიზიყში, გარე-კახეთში და უკანა-მხარში, არამედ კახეთშიაც და ქართლშიაც—თუნდ იგი სახნავ-სათესი გვარეულად ჰქონდეთ დაყოფილი და დასაკუთრებული, მაინც გიპასუხებენ: ჩვენია—სასოფლო—სათემოო. მიწას თემის საკუთრებად ჰხდის ქართველი კაცი და „თემად" იხსენიებს ერთს ან რამდენსამე სოფელს.

*) ჩემივე წერილი „მგზავრის შენიშვნები საინგილოზე" „ივერია" 1882 წ. ნოემბრის წიგნი.

მოინდომებენ სასამართლოსაგან თავიანთ საქმის გარჩევის თავიდამ აცილებას.

== იმავე გაზეთს აცნობებენ, რომ ამავე საგნის გამო თბილისში დაარსებულმა კომისიამ თბილისის გუბერნატორის თავს-მჯდომარეობით ჰპოვა რომ სომხები და ებრაელნი ისეთის პატარა და მცირე ტანისანი არიან, რომ მათი სიმაღლე არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც გადაწყვეტილია სამხედრო წესდებულებით. მაგალითად სულ მცირე ტანის სიმაღლე, რომელიც უნდა ჰქონდეს ჯარის კაცს, არის 2 არშ. და 2$^1/_2$ გოჯი. არც სომხები და არც ებრაელნი, მომეტებულ შემთხვევაში, არ არიან ამ ტანისაც კი და ამისათვის, რომ მომეტებულს ნაწილს არ ასცდეს სამხედრო სამსახური, კომისიას დაუსკვნია, რომ უსათუოდ საჭიროა შემცირდეს კიდევ ეს ზომა 2 არშ. და 2$^1/_2$ გოჯი სომეხთა და ებრაელთათვისაო. როგორც ისმისო, ამბობს ბოლოს გაზეთი, ეს აზრი კომისიისა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგენია განსახილველად სამხედრო სამინისტროსათვის.

== ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ მეორე საფილოქსერო კრება თბილისში იქნება დანიშნული იმ დონის ძიებათა განსახილველად, რომელნიც უნდა იქმნენ მიღებულნი ფილოქსერის მოსასპობლად კავკასიაში და რუსეთის სხვა ადგილებში. ეხლა, გაზ. ,,ნოვოროსიის ტელეგრაფის'' სიტყვით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრს საჭიროდ უცვნია ამ კრების მოწოდება თბილისში მომავალ გაზაფხულისათვის. ამ აზრით ბ. ი. ი. ტიხეევის პირით, რომელიც ამ სამინისტროს წარმომადგენლად ითვლება კავკასიაში, წინადადება მიუცია მას თბილისის საფილოქსერო კომიტეტისათვის, რომ მან ყირიმის საფილოქსერო კომიტეტთან ერთად და იმ საფილოქსერო კომისიასთან, რომელიც დაარსებულია სამხრეთ-რუსეთის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებასთან, გამოიკვლიოს ამ კრების მუშაობის პროგრამა, და ეს პროგრამა წარუდგინოს ბ. მინისტრს დასამტკიცებლად.

== კვირას, დეკემბრის 9, მეორე კლასიკურის გიმნაზიის სადგომში გაუმართავთ ლიტერატურული დილა, რომელზედაც დირექტორს ლილოვს წარმოუთქვამს სიტყვა გნედიჩის მნიშვნელობაზე, როგორც ჰომიროსის ,,ილიადის'' მთარგმნელზე. შემდეგ შეგირდებს უმღერნიათ, წაუკითხავთ რამდენიმე ნაწყვეტი ,,ილიადიდამ'' და სულ ბოლოს რუსულის ლიტერატურის მასწავლებელს ბ. სუროვცევს ულაპარაკნია ხემნიცერზე, რომელიც იყო პირველი იგავთ-მწერალი რუსეთში (გაზ. ,,ნოვ. ობოზ.'').

== გაზ. ,,კავკაზს'' სწერენ სენაკის მაზრიდამ შემდეგს გარემოებას: ნოემბრის 8, სოფ. ცალიკარის მცხოვრები, დიაკვანი ბესარიონ კუცია, რომელიც ყოფილა სტუმრად იმავე სოფლის გლეხთან თომა სანაიასთან, უცბად დაკარგულა. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ დიაკვანი ამავე სახლში მოუკლავთ და მისი გვამი რიონში გადაუგდიათ.

რუსეთი

წელიწადი ისე არ გაივლის, რომ რუსეთში ახალმა კასტამ, სულ განსხვავებულ პირობებზე დაფუძნებულმა, სხვა გვარ სწავლის მიმდევარმა, არ ამოჰყოს თავი. წელსაც გაჩნდა ერთი კასტა უმანის მაზრაში. ამ ახალს კასტას ნამდვილი მონოზნური ხასიათი აქვსო. სექტანტები ღამ-ღამეობით შეიყრებიან თურმე რომელსამე კერძო სახლში, ჰგალობენ ფსალმუნებს და სხვა საეკლესიო გალობათა; არაფერს ხორცეულს არა სჭამენ, არ სმენ არაყს და ყველანი წინაალმდეგნი არიან ცოლ-ქმრობრივის შეუღლებისა. თავისიანებში მეგობრულად იქცევიან — გარეშეთა შორის სიმდაბლეემდის თავაზიანად; სიღარიბე ჰქენჯნისო მათ, მაგრამ ამ მდგომარეობას სახვენ ისინი დამამშვენებლად ქრისტიანობისა. ყოველი სექტანტი ვალად ითვლის ხშირად მოიაროს ხოლმე წმიდა ადგილები და განსაკუთრებით იერუსალიმი, რითაც მხოლოდ შეიძლება მონანება ცოდვებისა, რომლის რიცხვი ყოველს ადამიანს იმდენი აქვსო, რამდენიც ვარსკვლავიაო ცაში. სახელად იერუსალიმიტებს იწოდებენ ეს სექტანტები, რომელთ დანახვა შეჰზარავს თურმე კაცს — ისე ჩამომხმარი და დასუსტებულნი არიან და მუდამ თავიანთ ცოდვებზე ჰგმინავენ.

ახალის განკარგულებით ევროპის სამზღვრებიდამ გადმოზიდული საქონელი რომელთამე უმთავრეს ტამოჟნის საწყობში შეიძლება დაცულ იქმნეს მხოლოდ სამი წელიწადი.

ძველს სასამართლოებში მოსამსახურე სამოსამართლო გამომძიებელთა მომავალის წლის დამდეგიდამ მოემატებათ ჯამაგირზე 300 მან.

მთავრობას განზრახვა აქვსო, იწერებიან რუსულს გაზეთებში, მუდმივი კონტროლი დააწესოს საადგილ-მამულო ბანკებზე ამ ბანკების საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის.

უცხოეთი.

საფრანგეთი. საფრანგეთის კაბინეტის მეთაურმა, ჟულ-ფერიმ, შემდეგის სიტყვით მიმართა დეპუტატთ ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარს ერთს სხდომათაგანზე: «ტყუილად ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ ევროპას ვითომ კარანტინი აეგოს საფრანგეთის რესპუბლიკის გარშემო, შემოეზღუდოს იგი. ჰერცოგ ბროლიმ რესპუბლიკა რაღაც კუდაბზიკად, «არა მკითხე მოამბედ» დახაზა, რომელსაც არ შეეძლოს ვითომ რაიმე კავშირის დაჭერა

თემო მფლობელობის წესები პირ-დაპირ უდგებიან მეორე ტიპის მფლობელობის წესებს და ზოგან ეს მეორე ტიპის წესები — მესამეს და უკანასკნელი ტიპის წესებთან შერეულიც არიან. კახეთშიაც რამდენიმე სოფელი მოიპოვება მეორე ტიპისა და უმეტესობა კი აქაური საერო მიწის მფლობელობის სოფლებისა წააგვანან მესამე ტიპს — მაგრამ არ ფაქტები: შეურევლად მეორე ტიპის მფლობელობას წარმოადგენენ გარე-კახეთის სოფლის საზოგადოებანი: მანავი, ანთოკი, გიორგი-წმინდა, ხაგარეჯო, ნინო-წმინდა და ახბულახი. ეს საზოგადოებანი მცხოვრებთა რიცხვით ათას-რვაას კომლამდე იქნებიან და კომლზე თხუთმეტი დესეტინა ჰხვდებათ. მალაკნებს კი ოცდა-ხუთ-ხუთი დესეტინა..

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ აქ გაჩაღებული მიწის მფლობელობის ფორმები მიწის სიბევრეს არ მიაწერონ, რადგან მფლობელობის კანონებს სარჩულად ისე მიწის სიბევრე და სიცოტავე არა აქვს, როგორც ისტორიული მსვლელობის გარემოებანი.

ამ ქვეყნის დიდ სოფლის საზოგადოებათ, რომელთაც იორის-ხეობის უმეტესი არე-მარე უჭირავთ, ერთმანეთ შორის განუსაზღვრავად — ტყე, მინდორი, საძოვარი განუყოფლად და სათემოდ მიაჩნიათ...

ყველას შეეძლო, ოღონდ ზემოდ მოხსენებულ საზოგადოებათა წევრი კი ყოფილიყო, თავისუფლად ეხმარა ტყე, რომელიც დაცული არ იყო, გაეშენებინა ვენახი, საქონლის-სადგომი და თავისთვის სახლ-კარი; აგრეთვე შეეძლო, სადაც მოისურვებდა, ეხნა-ეთესა, ამის დამშლელი არავინ იყო; ხოლო, ამ ხმარების დროს, უნდა მტკიცედ დაეცვა სათემო კანონები: დაცულ ტყეში სახრეც-კი არ უნდა მოეჭრა, თორემ სასოფლოზე ხარს დაუკლამდენ. სასოფლოდევე ტყეს იცავდენ შემდეგი წესით: ყრილობა სწყვეტდა, ესა-და-ეს ტყე შევინახოთ, დავიცვათო; ამოირჩევდენ მეთადარიგეებს. ესენი უბან-უბან დაიელიდენ და ნება-ყოფლობაზედ მოაგროვებდენ ღვინოს, პურს, მერე მღვდლებს შეატყობინებდენ და დანიშნულ დღეს სოფელი, მთლად მამა-კაცობა, ახდევინებდა ტყის ახლო მღვდლებს პარაკლისს; თუ მცირე ადგილი იყო, ხატებით გარსაც შემოუვლიდენ *), მერე სადილს სჭამდენ — ქართულ ლხინს გააჩაღებდენ და ამის შემდეგ ტყე იყო დაცული გახსნამდის. სახლის, საქონლის სადგომის აშენება და ვენახის მოღობვაც კი ყველგან შეეძლო, ოღონდ ის ადგილი სხვას არავის სჭეროდა იმ ხანებში. დღესაც წესია აქ: რომელიმე ამ საზოგადოების წევრმა ნახა კაი და მოხერხებული საწისქვილე ადგილი და იმ ხელად იოლი არ აქვს აშენებისა — იგი მარტო გასთხრის იმ ადგილს — ამუშავებს ოციოდე კაცს და სხვას აღარავის აქვს ნება მისი წართმევისა, თუ არ თითონ თემს. თემიც ართმევს უწესოდ კი არა, მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ წისქვილით ზარალი მიეცემა მთელ ხალხს ან კერძოდ ვისმე, თუ მეტადრე თემთან ამ უკანასკნელმა იჩივლა. გიორგი-წმინდის საზოგადოებას აქვს სასოფლო ექვს თვლიანი წისქვილი. მის ახლო სამმა კაცმა, ერთმა გარეჯელმა და ორმა გიორგი-წმინდელმა გათხარეს საწისქვილე. ხალხმა დაინახა, რომ, გარდა თავიანთ სათემო წისქვილის ზარალისა, სათემო არხიც სხვა მიმართულებას იღებდა. სასოფლოდ ჩავიდენ და ამოამსეს. ცოტა იმის მოშორებით-კი გიორგი-წმინდელმა გლეხმა დაიწყო ამ ხუთ წელში სათემო მინდორში და ააშენა წისქვილი.

სახნავ-სათესის დაჭერის წესები ცოტათი უფრო რთულნი არიან. ყველა ამ სოფლების მეკომურს, სადაც უნდა, შეუძლიან მოხნას, ოღონდ მისი მოხნული სხვის ნასიმინდარი, ან ნაფეტვარი არ იყოს — ან წინედ სხვის შემოკვალული და აგრეთვე სხვისგან შეპატივებული სასუქით, არხის გაყვანით, ჭაობის გაშრობით და სხვაფრივ. ვსთქვათ, მოვმკე და ათეულები მიწაშივე მიდგია და გარს კი დაკვალვა ვერ მოვასწარ. ჩემს მეზობელს შეუძლიან მოიტანოს გუთანი, ათეულები იქით გადადგას და მიწა მან მოხნას — მე საყვედურის ნებაც-კი არა მაქვს, ნასიმინდარს და ნაფეტვარს ვერ მოჰხნამს, რადგან ის ორ მოსავლამდის ჩემ მფლობელობას ქვეშ არის — იმის ძალითა, რომ შიგ თოხით გამირბილებია მიწა, გაზაფხულზე მომიხნამს და იმ შამოდგომაზევე, რასაკვირველია, რბილი სახნავი იქნება, დასაფარცხი ადვილი და სხვამ რომ მოხნას, ჩემი ნაშრომი მას გაჰყვება — რაიცა გუთნის მიმდევარ ხალხის წმინდა წესების ძალით არავის არ ,,შეერგება''.

ოთხმა-ექვსმა მომეტებულმა წევრებმა, ვსთქვათ, ამოვაშრეთ სათემო ჭაობი, ან გავიყვანეთ არხი და სარწყავად გავხადეთ რამდენიმე ათი დღის სახნავ-სათესი. ამ მიწების მფლობელნი ჩვენ ვიქნებით იქამდის, მინამ შრომის ფასს ავიღებთ — შემდეგში-კი სათემოდ გადაიდებიან. თუ ვინმე შემოგვეცილა ადრიან — ან ჩვენ ვძალაობთ და აღარ ვანებებთ სხვას, თუმცა ნაშრომი ავიყენეთ — მაშინ გუთნის დედების უსტაბაშნი არჩევენ ვისიმე მხრიდან დაწყებულ საჩივარს და სწყვეტენ გაძნელებულს საქმეს. აქ სახლის მიწებზე, თუ დასაკუთრებაზე ხსენება არ ყოფილა — აგრეთვე სოფლებ შორის განაწილება არავის უფიქრია — ხოლო მეზობლური ხათრით ყველა სოფელს თავის ახლო-

---

*) მე თითონ მახსოვს ხაგარეჯოს წყლის სათავეში ტყის დაცვის ცერემონია როგორ შეასრულა ხალხმა. მღვდლების-მიერ გარს ხატებით შემოვლით დაიწყო ეს ცერემონია და სადილით, ლხინით ხუმრობით და ერთმანეთის წყლის სათავის ცივ გუბეებში ამოვლებით გათავდა.

გარეშე ქვეყნებთან. ბერლინში ჩვენს რესპუბლიკას სრულიად არ ეპყრობოდენ უმართებულოდ—იქ თავიდამვე გაზომილი და გაკვლეული იყო ყოველიევე, რასაც ეს რესპუბლიკა მოქმედებდა; საფრანგეთის რესპუბლიკა იმდენად მისდევდა ძველადგანვე დადგენილს ტრადიციით მეგობრობას ინგლისისადმი, რომ ამ ქვეყანამ თვით მოისურვა შუამდგომლობა საფრანგეთსა და ჩინეთს შუა. თქვენ მეკითხებით—რა ადგილი უჭირავს რესპუბლიკას საფრანგეთშიო. კეთილი, მოგახსენებთ. ტყუილია-მეთქი—ვითომ ევროპას კარანტინი აეგოს რესპუბლიკისათვის საფრანგეთში (ესე იგი, თითქოს ევროპა ცუდის თვალით უყურებდეს რესპუბლიკურს ემართველობას საფრანგეთში). ევროპას შეგნებული აქვს, რომ საფრანგეთის მონარხიული დრონი სამუდამოდ განქრენ, და თუ—რაც შეუძლებელია—მონარხია კვლავ აღორძინდება, იგი გადიქცევა უკიდურეს ანარხიულ მმართველობად. ვერსალის ნაციონალურმა კრებამ მაისის 16 აღბეჭდა ამ გვარი შეხედულება საფრანგეთის რესპუბლიკაზე ევროპაში“.—როიალისტებს ვერაფრად ეპაშნიკათ ეს სიტყვები მინისტრთა პრეზიდენტისა. ამათის აზრით რესპუბლიკაა პასუხის-მგებელი ყოველის დამარცხებისა, რაც კი საფრანგეთს გამოუვლია შინ თუ გარედ.—საყურადღებოა ჰერცოგ ბროლის სიტყვაც საფრანგეთის კოლონიალურ პოლიტიკის თაობაზედ; „შევუბნებიან, რომ საფრანგეთმა“ ტერიტორიის გავრცელებით უნდა დაისაჩუქროს თავიო, რადგან ევროპაში მისს აზრს ამ ჟამად ფრიად მცირე გასავალი აქვსო. მაგრამ რამდენად უთაურობაა ამ გვარის პოლიტიკის გაყოლა, რამდენად დაგვასუსტებს ჩვენ ამ გვარი ტერიტორიალური გადიდება! ეგ ხომ სინამეტნავეა, ზომაზედ გადასვლა შემძლებელის, ძლიერის ხალხისაგან; დროებით დასუსტებულმა ხალხმა არ უნდა დალიოს ის ღონე, რომელიც საჭიროა მისთვის შინაურ საქმეთა განწყობისათვის. გასულს საუკუნეში მონარხიამ დაჰკარგა თვისი ტერიტორიანი, რადგან იგი ძლეულ იქმნა ევროპაში. ესპანიამ კი გაივრცელა კოლონიები ამერიკაში, რადგან ძალა ჰქონდა ევროპაში. ამბობდენ ვითომც ინგლისს შეჰშურებოდეს ჩვენი კოლონიების გავრცელება, მაგრამ ამ დღეებში პირველმა მინისტრმა ამავე ქვეყნისამ ნათლად დაამტკიცა—რამდენად გვასუსტებს ჩვენ ამ გვარი გადიდება ჩვენის სამფლობელოებისა. ამასვე ჰფიქრობენ ვენაში და ბერლინშიაც.»

ეგვიპტე. გაუთავებელი შეიქმნა ეგვიპტეს საქმენი. ორ დასად გაიყვნენ ინგლისის გაზეთები—ერთი დასი ჰკიცხავს ინგლისის მთავრობას ეგვიპტის საქმეების დაუმთავრებლობისათვის მეორე—ჰქომაგობს ამავე მთავრობას. პირველის დასის გაზეთი «სტანდარდ»-ი ამბობს სხვათა შორის, რომ რა ძალა არ ვიხმარეთო ჩვენ ეგვიპტეზე. ისე ვეპყრობით ეგვიპტეს, როგორც შეპყრობილს ქვეყანას, როგორც გერმანიაც არ ეპყრობა ალზას-ლორენს. ჩვენ ძალა დავატანეთ ქედივს, რომ ემსხვერპლნა რამდენიმე თვისი სამფლობელონი. მოვსპეთ მისი ჯარი, დავუქციეთ ციხე-სიმაგრენი, გავერიეთ ამ ქვეყნის ფინანსიურს საქმეებში. ამ მკიცხველი დასის გაზეთები კონსერვატიულს წრეს ეკუთვნიან და რასაც ეხლა ჰქადაგებენ—ჰქადაგებენ გლადსტონის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ის კი ავიწყდებათ ამათ, რომ კონსერვატიულმა დასმა ააგულიანა თავდაპირველად ინგლისის ლიბერალური მმართებლობა, გარეულიყო ეგვიპტის საქმეებში. ამ ბოლოს დროს გერმანიას მიუღია ენერგიული ზომები ეგვიპტის საქმეების შესახებ და ბისმარკს მოუთხოვნია—თუ კი აქვს უფლება ამ გვარის მოთხოვნისა—რომ ყველა ინგლისელნი მოხელენი დათხოვნილ იქმნან ეგვიპტეში სამსახურიდამ, რადგან ესენი ხელს უშლიან ეგვიპტის საქმეთა წესიერად მსვლელობას. თუ პატივდებაში მიღებულ იქმნა ამ გვარი მოთხოვნილება თ-ის ბისმარკისა, იმ შემთხვევაში ეხლანდელი ეგვიპტის ქედივიც უნდა გადააყენონ, რადგან ესეც ინგლისის მთავრობისაგან არის დანიშნული.

გერმანია. დღევანდელი ტელეგრამა გვაცნობებს გერმანიის საიმპერიო უმაღლესის სასამართლოს გადაწყვეტილებას ანარხისტის რეინსდორფის და ამის მომხრეთა შესახებ. ამათ ბრალდებოდათ ბევრგვარი ბოროტ-მოქმედება: სახელმწიფოს ღალატი, მკვლელობა და ცეცხლის წაკიდება პოლიტიკურის განზრახვით მაგრამ უმთავრესს ბრალს ამათსას შეადგენდა წადილი მოესპოთ სიცოცხლე თითქმის ყველა გერმანიის ხელმწიფეთათვის და მათ შორის უმთავრესად იმპერატორის ვილჰელმისათვის. როგორც წინად გვაცნობეს დეპეშებმა ამ განზრახვის განსახორციელებლად რეინსდორფმა თვისის მომხრეებით გაიყვანა მილი ნიდერვალდის ქვემოდამ, სადაც გასულის წლის ენკენისთვეში «გერმანიის» დიდის ძეგლის კურთხევისათვის შეყრილიყვნენ იმპერატორი ვილჰელმი, საქსონიის მეფე, რამდენიმე სხვა მეფენი გერმანიისა, თ-დი ბისმარკი, ფელდმარშალი მოლტკე, ბევრი სხვა წარჩინებულნი პირნი და ცნობილნი გერმანიის პოლიტიკაში და მხედრობაში და დიდ-ძალი ხალხი. მაგრამ ბედნიერი შემთხვევა—წვიმის გამო მინა დანოტიავებულიყო—წინაღუდგა ჯოჯოხეთურს განზრახვას.—სულ რვა ბრალდებული—ყველანი მუშის წოდებისანი იყვნენ და მეთაურიც ამათი ავგუსტ რეინსდორფი ამწყობთაგანია.

ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი‘‘)

დეკემბრის 10.

ლეიპციგი. ნიდერვალდში მომხდარს შემთხვევის გამო სასამართლომ გადუწყვიტა: რეინსდორფს,

---

მდებარე მიწებში სხვა სოფელი არ ეცილებოდა—მაგრამ დრო იცვალა ამ უკანასკნელ ათ და თორმეტ წლებში და ზოგიერთა სოფლებმა თავის ახლო-მახლო მიწები დაისაბლეს კიდეც. ეს მოიმოქმედა გიორგი-წმინდამ და ნინო-წმინდამ—გვარზე გასაბლა, თუმცა ხშირად გაიგონებთ სხვა სოფლელების მუქარას: წავიდეთ და შიგ ცხვირ-წინ ჩვენ გამოვუხნათო. ამ ცოტა ხნებში კიდევ თავ-თავის გასადევარის დაჩემებაც იწყეს სოფლებმა, მაგრამ არ უხერხდებათ, რადგან სოფელი ჯერ ისე არ დაწვრილმამულებულა აქ, რომ ოციოდ ,,შეთე‘‘ გუთნის-დედა არ მოიპოვებოდეს ხოლმე. ესენი ჯაბრზე გაჰკრამენ და, საცა დაჩემებას აპირებენ, იქ გააბმენ «ჰოროველსა»; ფული და გაუგებლობანი კი იმსხვერპლებენ ხოლმე ზოგჯერ ამ კანონებს. ივრის ხიდზე სადუქნე ადგილები ძალიან შემოსავლიანი. ერთ გარეჯელს დაჩემებით ჰქონდა დუქანი და მინამ დუქანი არ მოიშლებოდა, წესით არავის ჰქონდა ნება დაჩემებისა; მაგრამ გლეჯია-ვაჭრებმა გაქლიბეს თავისკენ საქმე. მოელაპარაკნენ აქაურ სახემწიფო ქონების აგენტს და ამან იჯარით ოციოდ დღის სათემო მიწა და ორი სადუქნის ადგილი მოუჭრა მედუქნეებს, რომელნიც ჰგლეჯენ გამვლელ-გამომვლელთ და თითონ ამ სოფლების ხალხსაც. ესეც ჰხდება ხოლმე: დაუსიძევდა, ესთქვათ, რომელიმე მოვაჭრე გარეჯელ მეკომურს, სათემო მიწაში იპოვა კაი სავენახე: დაიწყებს და გააშენებს ვენახს—მერე იქნება დუქანიც მიუმატოს. მიდის „შეთე“ გუთნის დედა, უნდა ვაზები ამოუყაროს მოსულს. მეჭარი ან გლეხისთვის გაუგებარი, ჩინოვნიკით დაუხვდება და შეაშინებს, ან არა და ,,ხახა-დასაცმელ‘‘ რამდენიმე ასიგნაცს გადმოუგდებს. მამასახლისებს ხომ თავიანთ საქმეების გამო, სათემოდ სადაც სცალიანთ, ან გინდ ეცალოთ, ეხლანდელ მოხელესთანა ფულით ადვილი მოსანადირებელი ვინლაა! აბაზზე თემს კი არა—ხატს გაჰყიდის.

თვითოეულ აქ ჩამოთვლილ სოფელს ვენახები საერთო ღობით აქვთ შემოღობილი. ვენახები ირწყვის და ყოველ წელს მერუეებს სათემოდ ირჩევენ, მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ იმ თავით წყალი აქ მიწის კუთვნილებას შეადგენს ე. ი. რამდენი მამულიც გიჭირავს, წყალსაც იმის კვალობაზე გაძლევენ და სარუოს ფასსაც ისე გართმევს მერუეც. წინადვე იციან, ამა-და-ამ გვარეულობის ვენახს რამდენი ჩაფი ტკბილი სარუო აწერია. ეს ჩაფებიც ისეა განაწილებული, რომ ერთ ჩაფში დღე-და-ღამე შეგვხვდება მთელი რუს დენა; ორ ჩაფს თუ იხდი სამერუოს, ორი დღე და ღამე. მაგრამ ერთხელ-კი არა, იმდენჯერ, წელიწადში რამდენჯერაც გამოთავდება რწყვა ყველას ვენახისა. ზოგჯერ რომელიმე რუ მთელ ზაფხულს სამჯერ ჩამორწყამს თავის საჯერო ვენახებს. ჩაფი ტკბილი აქ ყველგან უდრის მანეთს, ასე რომ, ვენახის მეპატრონეზეა დამოკიდებული ჩაფი ტკბილი მისცეს, თუ მანეთი ფული მერუეს. ,,ძანდრახტში‘‘ (ესეც ამ ბოლო დროს შემოიღეს) უწერენ დღე-ღამიან სარწყავში, ადათისამებრ, ჩაფი ტკბილი—ანუ მანეთი მივიღევო‘‘. საგარეჯო, მაგალითად ხუთ სარუოდ არის გაყოფილი და ეს რუები სულ ერთის სათავისანი არიან; ესე, იგი, ერთი წყლიდან იყოფიან. *) მერუეთ მოვალეობაა ერთმანეთს მეტი არ გაატანონ. ამ ჩამოთვლილ სოფლებს გარე-კახეთში რომ გასცილდები, იწყობიან სოფლები: პატარძეული, ხაშმი, სართიჭალა, მარტყოფი, ნორიო. ახალსოფელი, უჯარმა და სხვ. აქ ეს სათემო წესები შერეულნი არიან სხვა გვარ წესებთან.

ყველა ამ სოფლებში, (სართიჭალას გარდა, რომელიც ამ მხრივ დღევანდლამდის ყველაფერში ჰბაძავდა საგარეჯოს) სოფლის ახლო-მახლო დასაკუთრებული მიწები აქვთ თითო გვარს. ზოგან დასაბვლითაც დაუჩემებიათ მიწები და ეს გარემოება თითქმის აღარც-კი ახსოვთ. ამგვარ მიწებს გვარი გაყრილობის დროს ინაწილებს. დაგირავების ნებაც აქვთ, გაყიდვისა და ჩუქებისაც, მაგრამ მყიდველიც, დამგირავებიც იმ სოფლის კაცივე უნდა იყოს. როცა გვარი ამოსწყდება, მიწა სათემოდ რჩება. ამ გვარ მიწებს გარდა, ყველა ამ სოფლებს სათემო მინდვრებიცა აქვთ. ამგვარი სათემო მამული პატარძეულელებისა არის ,,ნაცვალ წყალი‘‘, ხაშმელებისა და უჯარმელებისა ,,ბალბიანი‘‘; მარტყოფისა—ლოპინი და სხვა...

მაქრო.

---

*) ამ გვარი წესები შამხვდა მე ქართლშიაც და შიდა კახეთშიაც—ყველგან აქ მერუეს დღეღამიან სარწყავ ვენახში ჩაფი ტკბილი—ან მანეთი ფული ეძლევა. ყველგან მერუე რიგზე აყოლებს თავის რუს ვენახებს და როცა გამოთავდება, ახლად იწყობს თავიდგან. ზომასავითაც ხმარობენ ამ გვარ თქმას: ,,ჩემი ვენახი დღიღამის სარწყავიაო‘‘. სოფელ მეტეხში (გორის მაზრა) ხარჯის გაჩარეჩების დროს, მალ-მალ იხმარებდენ-ხოლმე—„იაგიორგა მეტია-მეტ წყალ ხმარობსო“ ე. ი. მეტი მამული უჭირავსო. მერე გაშენებულია რამდენიმე სოფელი ხეობაზედ და ამავე ხევის წყლით რწყავენ მამულებს, ეს წყალი რუებათ აქვთ დაყოფილი სათავეშივე მამულების გვალად ქართლში თემმიდამ; ახალ-ქალაქის ბოლოში ოთხ სასოფლო რუსა აქვს სათავე: გომისას, მეტეხისას, სასირეთისას და ნიაბისას. კახეთში რუის-პირის გვერდით იყოფა მდინარე თურდო—ახატლისა, რუის პირისა და არტოზნის რუდ. იმთავით დაყოფილ საწილო წყალს არავინ დაუკლებთ. სოფ. რუის პირი, რუისი, რუისს თავი—წარმოსდგებიან იქიდან, რომ ამ საერთო წყლის გასაყოფ ადგილებთან არიან და გაყოფის დროს თავს იქ იკრეფენ სოფლები.

რუპოს და კიუხლერს - სიკვდილით დასჯა, ბახმანს და ჰალცგაუერს — ათის წლით დატუსაღება დამამშვიდებელს სახლში და დანარჩენი სამი ბრალდებული გაამართლეს.

ბერლინი. ოფიციალურად დამტკიცდა გერმანიის დროშის გამოფენის ამბავი ახალი-გვინეის მიდამოში და ახალი-ბრიტანიის არხიპელაგის კუნძულებზე.

რეიხსტაგის უარ-ყოფამ ბისმარკის წინადადებისამ, რომ საიმპერიო კანცელიარიისათვის დადგენილს ხარჯს კიდე მიემატოს საშუალება, გამოიწვია ხელის-მოწერის გამართვა მთელს გერმანიაში. შეკრებილი ფული ბისმარკს გადაეცემა განკარგულებისათვის. ამ საგნისათვის ბერლინში დაწესდა კომიტეტი.

ლონდონი. გუშინ ვინდზორის ვოკზალის საქონლის საწყობში გაჩნდა ცეცხლი; დაიწვა ბიურო და ბევრი საქონელი; ცეცხლის გაჩენას ფენიებს აბრალებენ, თუმცა საბუთი არა აქვთ ხელში.

დეკემბრის 11-ს.

პეტერბურგი. აღძრულის სჯის გამო, სენატმა დაადგინა, რომ ამიერიდამ სამხედრო სამსახურში ნამყოფნი სრულიად თავისუფალნი იქნებიან სხეულით დასჯისაგან.

ბერლინი. ნაციონალ-ლიბერალებმა მრავალ-რიცხოვან კრებაზედ გამოუცხადეს დიდი თანაგრძნობა ბისმარკის გარეშე საქმეთა პოლიტიკას და მწუხარება რეიხსტაგის დადგენებას, როგორც უგადრისს იმპერიისათვის და ხალხისაგან გაკიცხულს.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. $2^1/_2$
მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$
მეორისა — — —1 გ. 3 კ.
მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. 7 კ.
მეორისა — — —1 გ. 6 კ.
სუკი . . . —1 გ. 14 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.
მეორისა — — —1 გ. 6 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

გამგეობას ნიკოლსკის მანუფაქტურის ამხანაგობისა

«საბა მოროზოვის შვილი და ამხ.»

აქვს პატივი შეატყობინოს ბ.ბ-თ ვაჭრებს, რომ მათის სარგებლობისათვის 1885 წ. იანვრის 1-დამ, გაიხსნება საწყობი ერთობით გაყიდვისათვის, როგორც ბამბის ნაწარმოებისა, აგრეთვე ალისფერის საქონლისა სოკოლოვსკის მანუფაქტურისა, ასავე ბარანოვისა და შალის საქონელი ბუტიკოვის მანუფაქტურისა.

საწყობი გახსნილია ბაქოში, ლალაევის სახლში, „ევროპის“ სასტუმროს მახლობლად.

საქონლის ფასი იგივეა, რამდენიც საერთო საწყობებში ქ. მოსკოვში. (5—1)

ქ. ფოთში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში $20^0/_0$ წინ მიღებით ზეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას ზორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრასკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წერილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

ქამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ — თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ. გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. ქამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ჰირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—8) ალექსი თუთაევი.

გამოვიდა და იყიდება

ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან
თხზულება
ა. მ. მოჩხუბარიძისა.
ფასი 25 კაპ.

იყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. **არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20 — 8)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის

1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— 2 — 50
საუკეთესო 2— ,,	— 3 — ,,

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა-წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—52)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება $25^0/_0$-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეები, სამარილეები, გარჩიცის სავსხეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, შიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—70)

ოდესიდამ მოსულს მასწავლებელს ქალს მუსიკისას, შტორხის მეთოდით სურს მისცეს გაკვეთილები.

ადრესი: „ევროპის“ სასტუმრო.

(4—4)

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Декабря 1884 г. სტამბა არ. პალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.